საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

08/08/2025

MES 5 25 0001020307

გადაწყვეტილება

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა) აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის №452861 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი" შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 4.1 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია:

„რეკომენდებულია, პროგრამა გაძლიერდეს დარგობრივი მიმართულების აკადემიური პერსონალით", რის შედეგადაც შეიცვალა 4.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

აღნიშნულმა გამოიწვია 4 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ბ) 5.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

„სასურველია თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად კარგად იცნობდეს თვითშეფასების ანგარიშში დასახელებულ გასაუმჯობესებელ მხარეებსა და მათი გამოსწორების გეგმას", რის შედეგადაც შეიცვალა 5.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა გამოიწვია 5 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა) მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 ივლისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებელი" შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

1. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს სხდომის №990502 ოქმის № 06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
2. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის დეკლარირებული სწავლის შედეგები და ფორმულირდეს იმგვარად, რომ ასახავდეს პროგრამის სპეციფიკასა და თავისებურებებს, იყოს გაზომვადი და შეფასებადი.
- რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში და სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.
- რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მკაფიოდ იყოს ასახული სამიზნე ნიშნულები;
- რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ცალკე დოკუმენტად იყოს წარმოდგენილი, რომელშიც უნდა გამოჩნდეს, როგორ ხდება მათი შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;
- რეკომენდებულია გადაიხედოს არჩევითი საგნების ბლოკი, შეფასდეს მინიჭებული კრედიტების რაოდენობა და განხორციელდეს მათი მოდიფიცირება;
- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში დაემატოს/გაძლიერდეს აკადემიური კეთილსინდისირების, ხელოვნული ინტელექტისა და გაკვეთილის მართვის საკითხები;
- რეკომენდებულია გადაიხედოს ფსიქოლოგიური-პედაგოგიური მოდულის საგნების სპეციფიკა, შეიცვალოს მათთვის მინიჭებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რომ უფრო რელევანტურად ასახავდეს, ერთი მხრივ, საგანთა შინაარს, მეორე მხრივ, შეესაბამებოდეს მათში ინტეგრირებულ შეფასების მეთოდებს. რეკომენდირებულია პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს მასწავლებლის პრაქტიკის კვლევის საკითხით, რათა გარანტირებული იყოს კურსდამთავრებულთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარება;
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტების ინფორმირებულობა ლექტორებისა და საგნების შეფასების პროცესში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის, ფორმატისა და შედეგების გამოყენების შესახებ.
- რეკომენდებულია, პროგრამა გაძლიერდეს დარგობრივი მიმართულების აკადემიური პერსონალით.
- რეკომენდებულია უსდ უზრუნველყოდეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის ზრდას, მათ შორის მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, მნიშვნელოვან ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელების შექმნის ხელშეწყობას.

- რეკომენდებულია უსდ-მ რეგულარულად და მტკიცებულებებზე დამყარებული გზით, აწარმოოს საგანმანათლებლო პროგრამის შედარება ანალოგიურ პროგრამებთან.
- რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ყველა სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები ფორმალურად აფასებენ მას და რელევანტური ინფორმაცია საბოლოოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირებისთვის ხდება ცნობილი.
- რეკომენდებულია უსდ-მ საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის შეფასების გზით, შეიმუშავოს მისი მონიტორინგის ნათელი მკაფიო და კომპლექსური მაჩვენებლები.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 ივლისიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 25 ივლისი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე